

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების ორგანოს - „პირველი ინსტანციის
კომისიის“

გადაწყვეტილება

ქ. თბილისი

30 აპრილი, 2024 წ.

კომისიის შემადგენლობა:

თორნიკე მიგინეიშვილი - „ტელეკომპანია პირველი“-ს იურიდიული სამსახურის
ხელმძღვანელი

გიორგი დარჯანია - „ტელეკომპანია პირველი“-ს მულტიმედია არხების
ხელმძღვანელი

ლევან კირვალიძე - გადაცემა „რეაქციის“ პროდიუსერი

მომჩივანი - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე გიორგი
კალანდარიშვილი

კომისიის განმარტება

კომისია განამარტავს, რომ 2024 წლის 12 მარტს, ტელეკომპანია პირველის
თვითრეგულირების ორგანოში, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე
ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა წარმოადგინა საჩივარი, რომელიც შეეხებოდა
მიმდინარე წლის 02 მარტს, ტელეკომპანია პირველის ეთერში, გადაცემაში „ნოდარ
მელაძის შაბათი“-ში შესაძლოა არასწორი, გადაუმოწმებელი და მანიპულაციური
ინფორმაციის გავრცელებას.¹

საჩივრის დასაშვებობა

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად,
დაინტერესებული პირი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის კანონიერ
ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს მაუწყებლობის საქმიანობა.

¹ <https://www.youtube.com/watch?v=WcSN3tke-W4>

ამავე კანონის 52-ე მუხლის მესამე პუნქტის მიხედვით, დაინტერესებულ პირს უფლება აქვს, საწყისი განცხადების გაკეთებიდან (მათ შორის, ფაქტის მოყვანიდან) 10 დღის ვადაში შესაბამის მაუწყებელს მოსთხოვოს, მისცეს მას შესაძლებლობა, თავად უზრუნველყოს საწყის განცხადებაში მოყვანილი არასწორი (მცდარი) ფაქტის შესწორება ან უარყოფა მაუწყებლის ეთერში თანაზომიერი საშუალებებითა და ფორმით, საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც საწყისი განცხადება გაკეთდა.

მეოთხე ნაწილის თანახმად კი, მაუწყებელი უფლებამოსილია პირს უარი უთხრას პასუხის უფლებაზე, თუ: ა) ფაქტის შესწორების ან უარყოფის მოთხოვნა საწყისი განცხადების გაკეთებიდან 10 დღის ვადაში არ ყოფილა წარდგენილი;

იმის გათვალისწინებით, რომ სიუჟეტი ეხებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ის მიიჩნევა დაინტერესებულ პირად. სიუჟეტი იყო განთავსებული 2024 წლის 02 მარტს, საჩივარი მაუწყებელს წარედგინა 12 მარტს. შესაბამისად, დაცულია კანონმდებლობით გათვალისწინებული 10 დღიანი ვადა. აქედან გამომდინარე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ბატონი გიორგი კალანდარიშვილის საჩივარი დასაშვებად იქნა მიჩნეული.

საჩივრის შინაარსი

დაინტერესებული პირისგან 2024 წლის 12 მარტს შპს „ტელეკომპანია პირველი“-ს თვითრეგულირების ორგანოში შემოვიდა საჩივარი, რომელშიც მოთხოვნა ბუნდოვნად იყო ჩამოყალიბებული. მომჩივანი არ ასახელებდა კონკრეტულ განცხადებებს ან დროის ზუსტ მონაკვეთს რა დროის მონაკვეთშიც გაკეთდა სავარაუდოდ არაზუსტი ინფორმაცია. მომჩივანის ინტერესების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, კომისიამ მომჩივანს განუსაზღვრა ვადა, რომლის ფარგლებშიც მას უნდა წარმოედგინა დაზუსტებული საჩივარი კონკრეტული მოთხოვნებით.

დაინტერესებული პირის მიერ 2024 წლის 22 მარტს წარმოდგენილი დაზუსტებული მოთხოვნები შემდეგი სახით არის ჩამოყალიბებული:

სიუჟეტი შეიცავს არაერთ ცრუ და როგორც აღინიშნა მანიპულაციურ ინფორმაციას, კონკრეტულად კი:

1. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური

კითხვა თუ ეს ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ.“

2. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „ეს აპარტამენტი კალანდარიშვილის სიდედრის საკუთრებაა და ისიც ვაკეში, ჟვანიას პირველ ნომერში მდებარეობს. ლალი ზანდუკელის ბინაც რუსებზეა გაქირავებული“
3. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „გამოდის, რომ მხოლოდ შატბერაშვილის 19-21 ში გიორგი კალანდარიშვილის ოჯახი 5 ბინას ფლობდა. სამს დედის, ერთს ცოლის და ერთსაც სიმამრის - გურამ ჩიკვილაძის სახელზე.“
4. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „ოთარ ლორთქიფანიძის 30-ში კი ქონება ცესკოს თავმჯდომარის ძმის მიხეილ კალანდარიშვილის სახელზე ფიქსირდება. ბინის ოფიციალური მფლობელი საქართველოში არ ცხოვრობს, ამიტომ დაზუსტებით ძნელი სათქმელია ის არის ბინის რეალური მეპატრონე თუ მისი თანამდებობის პირი ძმა.“
5. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „დედაქალაქში უძრავი ქონების დაგროვებაზე აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ცესკოს პირველი პირი და მისი მეუღლე იყვნენ ორიენტირებული, ჩახლართული ყიდვა- გაყიდვის სქემაში ყველაზე მსხვილი მოთამაშე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დედაა. ქეთევან აბდალაძე ქუთაისში ცხოვრობს და მის სახელზე 2021 და 2022 წლებში ისევ ვაკეში და ისევ იმ კორპუსში სამი ბინა ფორმდება.
მაკა ჩიხლაძე: გამოდის, რომ მხოლოდ შატბერაშვილის 19-21 ში გიორგი კალანდარიშვილის ოჯახი 5 ბინას ფლობდა. სამს დედის, ერთს ცოლის და ერთსაც სიმამრის - გურამ ჩიკვილაძის სახელზე.“
6. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „იმ კორპუსების ნებართვების მონიტორინგმა, სადაც ცესკოს თავმჯდომარის ოჯახს ბევრი ბინა აქვს აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში დეველოპერებს მერიასთან პრობლემები ჰქონდათ, მშენებლები დარღვევების მიუხედავად კოეფიციენტების მატებას ითხოვდნენ და საბოლოოდ იღებდნენ კიდევ. ეს საცხოვრებელი კორპუსი, სადაც ცესკოს თავმჯდომარეს 5 ბინა დაუთვალეთ თავდაპირველი პროექტი ორმოც ბინიანი და 5 სართულიანი უნდა ყოფილიყო. 2018 წელს კალაძემ ბინადარს კოეფიციენტის მატებაზე უარი

უთხრა, თუმცა 2019 წელს პოზიცია შეცვალა და სართულიანობა 5-დან თორმეტამდე სიმაღლე კი 56 მეტრამდე გაზარდა.“

მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „ეს დამთხვევაა თუ სამშენებლო კომპანიას დაავალეს შეცვლილი ნებართვის სანაცვლოდ ცესკოს მაშინდელი იურიდიული სამსახურის უფროსი მოემადლიერებინა.“

7. ასევე, მომჩივანი მიუთითებს რომ სიუჟეტში არასრულწლოვანთა გამოყენება და მათ შესახებ საუბარი არ შეესაბამება ჟურნალისტური ეთიკის სტანდარტებს. (საჩივარში მტკიცებულებად მოყვანილია ვრცელი დიალოგი მაკა ჩიხლაძესა და ნოდარ მელაძეს შორის)
8. დაინტერესებული პირი, ასევე უთითებს დამჩირავებლების მოქალაქეობაზე. მტკიცებულების სახით წარმოადგენს ვრცელ დიალოგს მაკა ჩიხლაძესა და ნოდარ მელაძეს შორის და მიუთითებს რომ სიცრუეა თითქოს მისი სიდედრი ფლობს საკუთრებას და თან აღნიშნული საკუთრება, შესაძლოა გაქირავებული იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე.
9. მაკა ჩიხლაძის ფრაზა - „თუმცა ეს მორალის ამბავია მაინც, მაგრამ მდგმურებთან დაკავშირებით ყველაზე მნიშვნელოვანი კანონდარღვევა, აი კანონის ენით რომ ველაპარაკოთ ცესკოს თავმჯდომარეს, მოვალეობის შემსრულებელს ამ ეტაპზე არის ის რომ მას არსად უწერია დეკლარაციაში, რომ იჯარით შემოსული თანხა არის მისი ოჯახის ერთ-ერთი შემოსავალი ანუ ეს გრაფები დეკლარაციაში რომელსაც ის ავსებს არის აბსოლუტურად ცარიელი.“
„სალომე ჩიკვილაძე გვეუბნება, რომ ქართულში უკვე ბევრი წელია მუშაობს. თუმცა, 2021 წელს შევსებულ დეკლარაციაში კალანდარიშვილის ცოლის სამუშაო ადგილი ან სამსახურით მიღებული შემოსავალი მითითებული არ არის.“
„ხარჯების თვლისას კიდევ ერთ მნიშვნელოვან და სავარაუდო კანონდარღვევას ვაწყდებით. ჩვენმა ჟურნალისტურმა მოკვლევამ დადასტურებულად აჩვენა, რომ გიორგი კალანდარიშვილი მაგალითად დედის სახელზე გაფორმებულ უძრავ ქონებას დეკლარაციას უმაღავს. მაღავს ბინების გაქირავებიდან მიღებულ თანხებსაც, რადგან არსად წერია, რომ ცესკოს თავმჯდომარეს იჯარიდან შემოსავალი აქვს მიღებული. ადამიანთან, რომელმაც ქვეყანაში ამ წლის ბოლოს უმნიშვნელოვანესი არჩევნები უნდა ჩაატაროს კითხვები არა მხოლოდ გადამალულ ქონებასთან და ამ ქონების შესაძენად დახარჯული ფულის წარმომავლობასთან დაკავშირებით ჩნდება.“

მოპასუხეთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის საჩივარი დაზუსტებულ პოზიციასთან ერთად გადაეგზავნა სიუჟეტის ავტორ მაკა ჩიხლაძესა და „ნოდარ მელაძის შაბათი“-ს გუნდს წერილობითი პოზიციის წარმოდგენის მიზნით.

მოპასუხე მხარემ კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, რომელიც ასევე გადაეგზავნა მომჩივანს.

მოპასუხეთა განმარტებით, სადავო პირველ განცხადებაში მართლაც იყო დაშვებული ფაქტობრივი შეცდომა და გადაცემა იღებს სრულ პასუხისმგებლობას რომ როგორც პასუხისმგებლიანმა მედიამ, მოახდინოს შესწორება და ნაცვლად სიმამრისა ახსნას, რომ მოხსენიებული უნდა ყოფილიყო მამა.

მოპასუხე მიუთითებს, რომ რეპორტაჟში ნაჩვენებ ბინაში მდგმურად მყოფებმა დაუდასტურეს საგამოძიებო ჟურნალისტთა გუნდს, რომ ლალი ზანდუკელის მდმურები იყვნენ და მასთან თანხის გადაცემის დროს, მესამე პირის საშუალებით ჰქონდათ ურთიერთობა. შესაბამისად მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას რომ ადგილზე გადამოწმების გარდა სხვა რაიმე ხერხი გამოგვეყენებინა.

ბინებთან დაკავშირებით კი მხარე განმარტავს რომ რეპორტაჟში ხაზგასმულია, რომ 5 ბინას შატბერაშვილის 19-21-ში ფლობდა არა თავად ცესკოს თავმჯდომარე, არამედ მისი ოჯახი და რეპორტაჟში ნათქვამია რომ 5 ბინას ოჯახი ფლობდა და არა ფლობს.

მმის საცხოვრებელ სახლთან დაკავშირებით მოპასუხე მხარე უთითებს, რომ სიუჟეტში გამოყენებულია ფრაზა - „დაზუსტებით ძნელი სათქმელია“, რაც გამორიცხავს გაჟღერებული ფრაზების ფაქტად აღქმის საშუალებას და ის უნდა განიხილოს კომისიამ როგორც მოსაზრება.

რაც შეეხება დედის სახელზე არსებულ ბინასთან დაკავშირებულ შეპასუხებას, მხარე მიუთითებს, რომ ჟურნალისტმა ყველა ღონე იხმარა იმისათვის, რომ მიეღო დაზუსტებული ინფორმაცია. ასევე, მაუწყებელმა გადაცემის გარდა მოამზადა ახალი ამბების გამოშვება, რა დროსაც მიმართეს ცესკოს

თავმჯდომარეს ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, თუმცა მისგან პასუხი ვერ მიიღეს.

დედის 3 ბინასთან დაკავშირებით მოპასუხე მხარე მიუთითებს, რომ ინტერვიუს ჩაწერის მომენტშიც ესაუბრნენ ამ საკითხზე ბატონ თავმჯდომარეს და თავადვე დაადასტურა რომ იმ მომენტისთვის რეესტრში წარმოება იყო დაწყებული.

სამშენებლო კომპანიებიდან მომჩივანის მიერ ბინების შექმნის საკითხზე მოპასუხე ხსნის, რომ სამშენებლო კომპანიებს კალანდარიშვილის ბინების ქმენა არა გადაცემის ავტორმა, არამედ ამ საკითხებზე მომუშავე საკრებულოს ოპოზიციამ დაუკავშირა. ეს დაკავშირება კი მოხდა კონკრეტული საექვო გარემოებების გამო, რაზედაც ავტორმა დეტალურად ისაუბრა რეპორტაჟში.

სოფელ დილომში 2015 წელს დედისთვის ჩუქებით გადაცემულ საკუთრებასთან დაკავშირებით მოპასუხე მხარე უთითებს, რომ აღნიშნული ნაწილი მხოლოდ გიორგი კალანდარიშვილის მოსაზრების გახმოვანებას შეეხება და არანაირი კავშირი არ აქვს მოსარჩელის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან.

ასევე, მოპასუხე მხარის თქმით, შეუძლებელია პირმა გააქირავოს ან გაყიდოს ბინა და არ იცოდეს ხელშეკრულების გაფორმების მომენტში რა ეროვნების წარმომადგენელთან დებს ხელშეკრულებას, შესაბამისად მომჩივანის მიერ გაკეთებული განმარტებები არის არადამაჯერებელი.

დეკლარაციების არასრულფასოვნად შევსებასთან დაკავშირებით კი მოპასუხე მხარე უთითებს რესპოდენტის, მომჩივანის მეუღლის, განცხადებას და ამბობს, რომ მეუღლემ თავად აღიარა, რომ 2008 წლიდან მუშაობს „ქართუ ბანკში“, მაგრამ როგორ ჩანს 2021 წელს შევსებულ დეკლარაციაში, მაღალჩინოსნის ცოლის სამუშაო ადგილად ბანკი მითითებული არ არის.

კომისიის სხდომის გამართვის შესახებ

ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიაში დამკვიდრებული პრაქტიკისა და დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, კომისია თითოეულ საჩივართან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ უნდა ჩატარდეს ზეპირი მოსმენის სხდომა, რომელიც ეხმარება მხარეთა პოზიციების გამოკვლევასა და მათ დაზუსტებას.

სხდომაზე, რომელიც ჩატარდა 2024 წლის 24 აპრილს, 12:00 სთ-ზე, ონლიან ფორმატით, მოწვეული იყვნენ კომისიის წევრები, ჟურნალისტი მაკა ჩიხლაძე (შემდგომში „მოპასუხე“) და ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე (შემდგომში „მომჩივანი“)

სხდომაზე გამოცხადა ჟურნალისტი მაკა ჩიხლაძე.

კომისიამ საქმე განიხილა შემდეგი შემადგენლობით - თორნიკე მიგინეიშვილი, ლევან კირვალიძე და გიორგი დარჯანია.

სხდომის ოქმის აუდიო-ვიდეო ჩაწერის უზრუნველყოფა განახორციელა კომისიის წევრმა, გიორგი დარჯანიამ.

კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი:

საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციით, „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მაუწყებელთა ქცევის კოდექსით“, დაცულია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება.

კომისიამ პირველ რიგში უნდა შეაფასოს სადავო გამონათქვამები წარმოადგენს ფაქტებსა თუ შეფასებით მსჯელობას (აზრს), ვინაიდან აზრის გამოხატვა არ შეიძლება გახდეს რაიმე სახის პასუხისმგებლობის ან ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი.

საქართველოს კანონმდებლობაში არსებული ჩანაწერი, რომლის თანახმადაც, „აზრის ან ფაქტის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას ყოველგვარი გონივრული ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს განცხადებაში მოყვანილი ცნობებისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ.“

იმისათვის, რომ კომისიამ შეაფასოს მოსარჩელეების მიერ სადავოდ გამხდარი განცხადებები, მნიშვნელოვანია, რომ მან გაითვალისწინოს გამონათქვამების მთლიანი კონტექსტი. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, „სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მათი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა

ფაქტობრივ კომპონენტებს მოიცავს, რა მიზნით იქნა გასაჯაროებული ისინი.” (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 7 აპრილის #ას-53-49-2017 გადაწყვეტილება, 31)

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ სპეციალური კანონით მოცემულია როგორც აზრის, ისე ცილისწამების დეფინიცია, რომელთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ფაქტისა და მოსაზრების გამიჯვნა აუცილებელი პირობაა ცილისწამების განსაზღვრისთვის. მითითებული ნორმის მიხედვით, „აზრი“ ფართოდ უნდა განიმარტოს. იგი გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ამიტომ, ფაქტების გადამოწმება და მისი ნამდვილობასთან შესაბამისობის დადგენა შესაძლებელია. ერთმანეთისგან განასხვავა რა ინფორმაცია (ფაქტები) და შეხედულებები (შეფასებითი მსჯელობა), ევროსასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა, რომ ფაქტების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს, მაშინ, როდესაც შეფასებითი მსჯელობის ნამდვილობა არ ექვემდებარება მტკიცებას... რაც შეეხება შეფასებით მსჯელობას, ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელია და იგი თავისთავად ხელყოფს შეხედულებების თავისუფლებას, რაც წარმოადგენს კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული უფლების ფუნდამენტურ ნაწილს (*Lingens v. Austria*; *Jerusalem v. Austria*; *Dichand and Others v. Austria*).

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით დაცულია მკაცრი და გაზვიადებული ენით გამოხატული შეხედულებები, ხოლო დაცვის ხარისხი დამოკიდებულია კრიტიკის კონტექსტსა და მიზანზე, რომელთა შორის მაღალი დაცვით სარგებლობს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხები. „ჯურნალისტური თავისუფლება ასევე მოიცავს მოვლენების რამდენადმე გაზვიადებულად ან, თუნდაც პროვოკაციულად ასახვას“ (*Dalban v. Romania*, *Prager and Oberschilick v. Austria*, *Dichand and Others v. Austria*).

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სადავო გამონათქვამის სწორი კვალიფიკაციისათვის უნდა შემოწმდეს მისი შინაარსი, გამოთქმის ფორმა და გამოთქმის კონტექსტი, რა ფაქტობრივი ელემენტებისაგან შედგება გამონათქვამი (სუსგ, Nას-1477-1489-2011, 3.04.2012).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კონვენცია იცავს არა მხოლოდ იმ ინფორმაციასა და მოსაზრებებს,

რომლებსაც ბევრი იზიარებს ან გულგრილად ეკიდება, არამედ იმათაც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, თავზარდამცემი ან შემასოთებელია. ამგვარია მოთხოვნები პლურალიზმისა, შემწყნარებლობისა და ფართო თვალთახედვისა, რომელთა გარეშეც შეძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა” (Handyside v. the United Kingdom, Sunday Times v. The United Kingdom, Lingens v. Austria, Oberschlick v. Austria)

საქმეში ჰენდისაიდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Handyside v. the United Kingdom), სასამართლომ აღნიშნა, რომ „დაცულია არა მარტო ინფორმაცია ან იდეები, რომლებიც კეთილმოსურნეა, ანდა აღიქმება როგორც უწინარი ანდა ინდიფერენტული, არამედ ისეთებიც, რომლებიც შეურაცხმყოფელი, გამაოგნებელი ან შემაწუხებელია სახელმწიფოს ან მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის. ასეთია პლურალიზმის, შემწყნარებლობისა და ფართო თვალსაწიერის მოთხოვნები, რომელთა გარეშეც არ არსებობს დემოკრატიული საზოგადოება“

კომისია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, როდესაც საუბარია საკითხისადმი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობაზე, უნდა შეფასდეს გაკეთებულ განცხადებაში გამოვლენილი მტრული დამოკიდებულების გარკვეული ხარისხი (E.K. v. Turkey, no. 28496/95, §§ 79-80, 7 February 2002) და გამოთქმების სერიოზულობაც კი (Thoma v. Luxembourg, no. 38432/97, § 57, ECHR 2001-III) არ ართმევს განმცხადებელს უფლებას დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლებით (Paturel v. France, no. 54968/00, § 42, 22 December 2005). ასევე ყურადღება უნდა მიექცეს კონკრეტული ორგანოსა თუ პირის საჯარო პირად მიჩნების საკითხს.

სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის „კ“ ქვეპუნქტის თანახმად, კერძო პირია ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო, ამავე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საჯარო პირი არის საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული თანამდებობის პირი. პირი, რომლის გადაწყვეტილება ან აზრი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე; პირი, რომლისკენაც მისი გარკვეული ქმედების შედეგად ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით მიმართულია საზოგადოებრივი ყურადღება.

კომისია მიიჩნევს, რომ მხარეებს შორის სადავოდ არ არის გამხდარი, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ბატონი გიორგი

კალანდარიშვილი არის საჯარო ფიგურა, თავისი სამსახურეობრივი თანამდებობისა და გადაწყვეტილებების მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაბამისად, მის მიმართ დასაშვები კრიტიკის ზღვარი შედარებით მაღალია ვიდრე რიგითი პირის მიმართ. როგორც მოპასუხე აღნიშნავს, სწორედ ცენტრალური საარჩევნო კომისიის, როგორც ორგანოსა და შემდგომში მისი თავმჯდომარის მიმართ საზოგადოების მაღალი ინტერესი გახდა საფუძველი იმისა, რომ ტელეკომპანია პირველის საგამომიებო ჟურნალისტების გუნდს მოემზადებინა სიუჟეტი.

კომისია საჭიროდ თვლის თითოეულ მოთხოვნასთან დაკავშირებით მხარეთა არგუმენტაციის გათვალისწინებით იმსჯელოს დეტალურად და გადაწყვიტოს:

1. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე აღიარებს პირველ განცხადებასთან დაკავშირებით ფაქტობრივ უზუსტობას, ტელეკომპანია პირველი-ში გადაცემა „ნოდარ მელაძის შაბათი“-ს გუნდს დაევალება განცხადების გაკეთება, რომ ფრაზა „შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სსამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ეს ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ“ შეიცავს ფაქტის არაჯეროვან გადმოცემას.
2. რაც შეეხება ჟვანია ქუჩაზე მდებარე უძრავ ქონებას, აღნიშნულთან დაკავშირებით კომისია იზიარებს მოპასუხე მხარის მიერ მითითებულ არგუმენტაციას და სიუჟეტში წარმოდგენილ მტკიცებულებას, რომ მდგმურად მყოფებმა დაადასტურეს რომ ლალი ზანდუკელის მდგმურები იყვნენ და მასთან თანხის გადაცემის დროს მესამე პირის საშუალებით ჰქონდათ ურთიერთობა. ამის საპირწონედ კი მომჩივან მხარეს არ წარმოუდგენია წარმოების პროცესში ან საჩივრის წარმოდგენისას რაიმე სახის მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა, რომ პირები, რომლებიც ჩანან სიუჟეტში არ არიან ადამიანები, რომლებთანაც შესაძლოა გაფორმებული იყოს ხელშეკრულება ან/და საქმეში წარმოდგენილი არ არის საჯარო რეესტრის ამონაწერი, რომელზედაც მიუთითებს მომჩივანი.

კომისია განმარტავს, რომ თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს ყველას ის გარემოება, რომელზედაც ამყარებს საკუთარ არგუმენტაციას. შესაბამისად, მაშინ როდესაც საუბარია კონკრეტული ქონების არსებობაზე საკუთრების

უფლებით, მნიშვნელოვანი იყო, რომ მომჩივანს კომისიისთვის წარმოედგინა მტკიცებულება, რომელიც უგულებელყოფდა მოპასუხის მიერ სიუჟეტში წარმოდგენილ პოზიციას.

3. რაც შეეხება შატბერაშვილის 19-20 ნომერში გიორგი კალანდარიშვილის ოჯახის მიერ 5 ბინის შესაძლო ფლობის საკითხს. სიუჟეტში გაკეთებული განცხადებების თანახმად, ცალსახაა, რომ ჟურნალისტი საუბრობს არა კონკრეტულად მომჩივანის, არამედ მისი ოჯახის ქონებაზე. ასევე არა აწმყო დროშია საუბარი, არამედ წარსულში, რაც გამორიცხავს მომჩივანის არგუმენტის ლოგიკურობას იმ საკითხზე, რომ გადაცემის გასვლის მომენტში, მომჩივანის დედის სახელზე რეგისტრირებული ერთი საკუთრება, გადაფორმებული იყო მომჩივანის ძმის სახელზე.
4. ოთარ ლორთქიფანიძის 30-ში მდებარე ქონებას რაც შეეხება, სიუჟეტიდან ჩანს, რომ ჟურნალისტი იყენებს ფრაზას „ამიტომ დაზუსტებით ძნელი სათქმელია“, რაც იძლევა განცხადების როგორც მოსაზრებისა და ჟურნალისტის მიერ გაკეთებული სამართლიანი კომენტარად აღქმის საშუალებას. აღნიშნულთან დაკავშირებით იმავე მოსაზრებას ავრცელებს მომჩივანიც, რომელიც დაზუსტებულ პოზიციაში უთითებს რომ „ის (ჟურნალისტი) მიუთითებს, რომ ჩემი ძმის ბინაც შესაძლოა ჩემ საკუთრებას წარმოადგენდეს“. აღნიშნული კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ჟურნალისტი მიერ სიუჟეტში გაკეთებული განცხადებები აღქმულია საზოგადოების და მათ შორის მომჩივანის მიერ როგორც მოსაზრება და არა ფაქტი.
5. რაც შეეხება მეხუთე მოთხოვნას, სადაც სადავოდ არის გამხდარი ჟურნალისტ მაკა ჩიხლაძის მიერ გაკეთებული შემდეგი ფრაზები - „დედაქალაქში უძრავი ქონების დაგროვებაზე აღმოჩნდა, რომ არა მხოლოდ ცესკოს პირველი პირი და მისი მეუღლე იყვნენ ორიენტირებული, ჩახლართული ყიდვა- გაყიდვის სქემაში ყველაზე მსხვილი მოთამაშე ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დედაა. ქეთევან აბდალაძე ქუთაისში ცხოვრობს და მის სახელზე 2021 და 2022 წლებში ისევ ვაკეში და ისევ იმ კორპუსში სამი ბინა ფორმდება.“

გამოდის, რომ მხოლოდ შატბერაშვილის 19-21 ში გიორგი კალანდარიშვილის ოჯახი 5 ბინას ფლობდა. სამს დედის, ერთს ცოლის და ერთსაც სიმამრის - გურამ ჩიკვილაძის სახელზე.“

მსგავსად წინა შემთხვევისა, ამ შემთხვევაშიც სიუჟეტში ჟურნალისტი იყენებს შემდეგ ტერმინებს „აღმოჩნდა“, „გამოდის, რომ“. რაც კიდევ ერთხელ აფიქრებინებს კომისიას, რომ აღნიშნული განცხადებები გაკეთებულია მოსაზრებისა და სამართლიანი კომენტარის ფორმატში. ისინი არ შეიცავს მხოლოდ დადასტურებულ ფაქტებზე მსჯელობას. გარდა ამისა, მომჩივანის მიერ არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა იმ პოზიციას, რომელზედაც ის მიუთითებს თავის თავდაპირველ საჩივარსა თუ დაზუსტებულ პოზიციასში.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რა გზები გაიარა ჟურნალისტმა, ვიდრე ის დააფიქსირებდა ფაქტს თუ კონკრეტულ მოსაზრებას. ჟურნალისტებმა როგორც საგამოძიებო ჟურნალისტიკის წარმომადგენლებმა მიმართეს ცესკოს თავმჯდომადრეს რომ მოეწოდებინა ოფიციალური დოკუმენტაცია და ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე ტელეკომპანია პირველის ახალი ამბების სამსახურს ჰქონდა მსგავსი მცდელობა, თუმცა მათაც უშედეგოდ. ყოველივეთი მომჩივანმა ხელი შეუწყო რომ ჟურნალისტებს არ მიეღოთ მეტი ინფორმაცია მისგან და ამით განახორციელა პროვოცირება შემდგომში თავისივე უკმაყოფილების ჟურნალისტების მიერ მომზადებული პროდუქტის გამო.

6. მეექვსე მოთხოვნას რაც შეეხება, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი პოზიციიდანაც ჩანს, რომ საუბარია მოსაზრებაზე და არა ფაქტებზე. ჟურნალისტის მიერ გაკეთებული განცხადება იძლევა მოსაზრებად აღქმის საშუალებას.

მომჩივანი საჩივარში უთითებს, „სიუჟეტის ავტორი ყოველგვარი სამართლებრივი და ფაქტობრივი დასაბუთების გარეშე ავითარებს მოსაზრებას ჩემსა და კომპანიას შორის შესაძლო კავშირის შესახებ“. მომჩივანს ხაზგასმით აქვს აღნიშნული რომ ჟურნალისტი საუბრობს შესაძლო კავშირზე და სადავოდ არის გამხდარი არა ფაქტი, არამედ მოსაზრება.

შესაბამისად, შეუძლებელია ვინმეს მოეთხოვოს მოსაზრების შესწორება ან მისი უარყოფა.

ასევე, სამშენებლო კომპანიებთან ცესკოს თავმჯდომარის შესაძლო კავშირის შესახებ მოსაზრება არა გადაცემის ავტორმა, არამეს ამ საკითხებზე მომუშავე საკრებულოს ოპოზიციონერმა პირმა გააკეთა, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ შეუძლებელია რესპოდენტის, მით უმეტეს,

პოლიტიკური ფიგურის, მიერ გაკეთებული განცხადებების შესწორება განხორციელდეს მაუწყებლის ეთერში.
გარდა ამისა, ჟურნალისტის მიერ გაკეთებული განცხადება „ეს დამთხვევაა თუ სამშენებლო კომპანიას დაავალეს შეცვლილი ნებართვის სანაცვლოდ ცესკოს მაშინდელი იურიდიული სამსახურის უფროსი მოემადლიერებინა“ არის მოსაზრება, ფაქტების გაცნობის შედეგად ჟურნალისტის მიერ გაკეთებული სამართლიანი კომენტარი და ის ვერ შეიძლება შესწორდეს ან მოხდეს მისი უარყოფა.

7. მეშვიდე მოთხოვნასთან დაკავშირებით, პოზიცია დასახელებით „არასრულწლოვნების გამოყენება სიუჟეტში“ მომჩივანის მიერ მითითებულ პოზიციაზე, რომ შიდა ოჯახური გადაწყვეტილებები არ წარმოადგენს საჯაროდ განხილვის საკითხს და რომ მსგავსი გაშუქება არასრულწლოვანთა უფლებებს არღვევს და ამავედროს არის ჟურნალისტური ეთიკის დამრღვევი. ვერ შეიძლება განხილული იქნეს ჯეროვანი სიზუსტის ნაწილთან მიმართებით და ის უნდა იქნეს დაყენებული ინდივიდუალური მოთხოვნის სახით როგორც არასრულწლოვანთან დაკავშირებული უფლებების დარღვევა ან/და საჩივრით მიმართული საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიისთვის.
8. მერვე მოთხოვნასთან დაკავშირებით, ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ტერმინი „როგორც ჩანს“ იძლევა გაკეთებული განცხადებების როგორც მოსაზრებად აღქმის საშუალებას.
გარდა ამისა, მომჩივანს საქმის წარმოების ეტაპზე არ წარმოუდგენია არცერთი მტკიცებულება გარდა მის მიერ მოწოდებული ახსნა-განმარტებისა, რომელიც დაადასტურებდა ან უარყოფდა სიუჟეტში გასული მასალიც ან ჟურნალისტის მიერ გაკეთებული ფაქტების სიმართლეს ან სიცრუეს.
9. რაც შეეხება დეკლარაციების შევსების ნაწილს. კომისია კვლავ იმეორებს მტკიცების ტვირთის გადანაწილების საკითხს. მაშინ, როდესაც მომჩივანი მიუთითებს, რომ სიუჟეტში გასული ინფორმაცია არ არის მართებული და საჭიროებს შესწორებას, უნდა წარმოადგინოს მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებს, რომ სიუჟეტის მომზადებისა და ეთერში გაშვების დროისთვის არსებობდა მტკიცებულებები, რომლის მოპოვებაც შეეძლო ჟურნალისტს/მედიას თუმცა ეს არ/ვერ გააკეთა და ამის გამო გაკეთებული განცხადებების უარყოფა ან შესწორება უნდა მოხდეს.

მომჩივანს არ წარმოუდგენია რაიმე სახის მტკიცებულება, თუნდაც ბოლო წლების დეკლარაციები, რომელიც კომისიას მისცემდა საშუალებას ემსჯელა ფაქტის ჯეროვანი სიზუსტის ნაწილზე და ამავდროულად მოპასუხე მხარეს აიძულებდა რომ თავისი პოზიციის დაცვის მიზნით წარმოედგინა საპასუხო არგუმენტაცია მტკიცებულებებთან ერთად.

მომჩივანმა პროცესის მსვლელობისას, დაზუსტებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა დეკლარაციის ერთ-ერთი ნაწილი, რომელშიდაც მითითებულია რომ სალომე ჩიკვილაძეს 2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით სს ბანკი ქართუმი ეკავა ისნის სერვის ცენტრის საკრედიტო განყოფილების უფროსის პოზიცია და ხელზე აღებული ჯამური ხელფასის რაოდენობა შეადგენდა 42114.86 ლარს. პირველ რიგში, რთულია კომისიამ მტკიცებულებად მიიღოს დოკუმენტაცია, რომელიც არ არის სრული ფორმით წარმოდგენილი და მასში ასახულია მხოლოდ სრული დოკუმენტაციის ერთი გვერდი ყოველგვარი დამატებითი ახსნის მითითების გარეშე, თუმცა, ასეც რომ არ იყოს და კომისიამ მტკიცებულებად მიიღოს აღნიშნული. საინტერესოა დაზუსტებულ პოზიციაში წარმოდგენილი არგუმენტაცია - „ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ რეალურად მეუღლის სამუშაო ადგილისა და სახელმფასო ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ჩემ მიერ შეტანილ იქნა დეკლარაციაში, თუმცა ვინაიდან ამ ნაწილში არ იქნა მონიშნული გასაჯაროების ველი (დილაკი), მისი საჯაროდ გამოქვეყნება არ განხორციელებულა“. ვერ იქნება საფუძველი იმისა, რომ ჟურნალისტ დაეკისროს არაჯეროვნად გავრცელებული ინფორმაციის უარყოფა, ვინაიდან სიუჟეტის მოკვლევის მომენტში ჟურნალისტი დაეყრდნო მის ხელთ არსებულ და საჯაროდ გამოქვეყნებულ დოკუმენტაციას, სადაც მოსარჩელის თქმითაც არ იყო გამოქვეყნებული ინფორმაცია მეუღლის სამსახურისა და ანაზღაურების შესახებ. შესაბამისად, ჟურნალისტმა საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია იმ საკითხის გარშემო, რაც საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი და ლოგიკურია, რომ დეკლარაციაში ინფორმაციის არ არსებობის აღმოჩენისას მედიას გაუჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა კონკრეტულ კანონდარღვევას ჰქონოდა ადგილი დეკლარაციის შევსების დროს.

ზემოთ აღნიშნული გარემოებების შეჯერების შედეგად, ტელეკომპანია პირველის თვითრეგულირების კომისიის პირველი ინსტანციის კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

1. შპს „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების კომისიაში 2024 წლის 12 მარტს შემოსული ცენტრალური საარჩევნო კომისიის

თავმჯდომარის, გიორგი კალანდარიშვილის, საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ:

- I. ტელეკომპანია პირველის ეთერში, გადაცემაში „ნოდარ მელაძის შაბათი“, მაუწყებელმა გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ფრაზის შესწორება: „შევარდნაძის მმართველობისას გიორგი კალანდარიშვილის მამა მართლაც მაღალ თანამდებობაზე მუშაობდა, თუმცა ბატონი სამსონი თანამდებობიდან ხელისუფლების შეცვლისთანავე, 2003 წელს გათავისუფლდა და ახლა ის უკვე გარდაცვლილია. ამასთან ჩნდება ლოგიკური კითხვა თუ ეს ოჯახის დაგროვილი დოვლათი იყო რატომ თარიღდება მსხვილი შენაძენები მამის პოსტზე მუშაობიდან თითქმის 20 წლის შემდეგ.“

წინამდებარე განცხადების შესწორების მიზნებიდან გამომდინარე „გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა“ ნიშნავს, მომჩივანის მიერ კანონით გათვალისწინებული გასაჩივრების ვადის გაშვებას ან თვითრეგულირების კომისიის სააპელაციო ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას.

2. საჩივარში მოცემული სხვა მოთხოვნები არ დაკმაყოფილდეს.
3. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს საჩივრის განხილვაში მონაწილე დაინტერესებულ პირებს.
4. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მომჩივანსა და მოპასუხე მხარეებს.
5. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ, გადაწყვეტილების ჩაბარებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში, შპს „ტელეკომპანია პირველის“ თვითრეგულირების სააპელაციო ორგანოში (კომისიაში). საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, ზოვრეთისა და მგალობლიშვილის ქუჩების კუთხე (ზოვრეთის #1).
6. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას კომისიამ იხელმძღვანელა, საქართველოს კონსტიტუციით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით, მაუწყებელთა ქცევის კოდექსით, სხვა საკანონმდებლო აქტებით, ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებითა და საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებული განმარტებებით.

„ტელეკომპანია პირველის“ სააპელაციო ორგანო

თორნიკე მიგინეიშვილი

გიორგი დარჯანია

ლევან კირვალიძე

